

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ შრომის
მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“-ის
თავმჯდომარის დავით ჭაკნელიძის 2018 წელს გაწეული საქმიანობის
შესახებ
ანგარიში**

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2018 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. წარმოდგენილი ანგარიში რიგითია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორცილებედი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების. აგრეთვე ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგიან, ასევე რიგგარეშე სხდომებში 18 -ჯერ, ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომებს 13-ჯერ, კომისიების სხდომებზე 39 -ჯერ.

ჩემი ხელმძღვანელობით მოწვეული და ჩატარებული იქნა ფრაქცია „ ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს 10-ი სხდომა . სადაც განვიხილული იქნა ფრაქციაში შემოსული კორესპონდენციები.

ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ მოწვეულ თათბირებში სულ 5 შეხვედრაში.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 3 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს და ამავდროულად საკრებულოს თანამდებობის პირს შეხვედრები მქონდა ამომრჩეველებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 37-ჯერ (სულ 55 მოქალაქე) მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას. კერძოდ: სოფლის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების მოხრეშვა და რიგ ადგილებში ბეტონის გზის დაგება, გარე განათების მოწესრიგებას და სხვა.

ეხლა მინდა მოგახსენოთ იმ პროექტების და დახმარებებზე შესახებ რომელიც სოფელ შრომაში განხორციელდა 2018 წელს კერძოდ ეს პროექტებია:

- სოფელში დაიგო 300 გრძივი მეტრი ბეტონის საფარი.
- სოფელში მოიხრეშა შიდა საავტომობილო გზა სადაც შეტანილი იქნა 800 კუბური მეტრი ხრეში.
- სოფელში გაკეთდა გაბიონები 50 მეტრი.

- ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა მეწყრული მოვლენების შედეგად დაზიანებული ადგილები სულ 130 მეტრი.
- სოფელში სტიქიით მიერ დაზიანებულ 7 ოჯახს გაეწიათ დახმარებები კერძოდ: გადაეცათ სახლის გადასახური მასალები.
- ეს არის იმ პროექტების მცირე ჩამონათვალი რომელიც სოფელში განხორციელდა.

რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს სოფლის 45 მაცხოვრებლებს ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა დახმარებები.

პირველ რიგში მინდა მოგახსენოთ რომ საქრთველოს მთავრობის მიერ აღდგენილი იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა სადაც სოფელ გამოეყო 170000 ათ.ლარი.რომელიც გაიხარჯება სოფლის მხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით.

ხოლო რაც შეეხება 2019 წელს სოფელში დაგეგმილ ინფრასტრუქტურული პროექტებს მოგახსენებთ;

- ეკალდიდში იგეგმება ახალი სკოლის მშენებლობა.
 - დაიგებაშიდა საავტომობილო გზები (ბეტონის საფარი) დაახლოებით 200 მეტრი.
 - ხრიალეთის უბანში გაკტდება მინი-სტადიონი.
 - შეიღობება ხრიალეთის სასაფლაო.
 - ხრიალეთის ბაღში მოწესრიგდება სასმელი წყლით უზრუნველყოფა.
 - ვაკის უბანში ახალი ბაღის მშენებლობა.
- აგრეთვე სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები რომლებსაც სოფლის მოსახლეობასთან ერთად განვახორციელებთ.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე აქტიურად ვიყავი ჩართული 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა დამტკიცებაში. რომელიც ფრაქციის მიერ შენიშვნებით დაუბრუნდა მერს კანონით დადგენილ ვადებში. უმეტესი შენიშვნები მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა.

აგრეთვე აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა პროექტების მომზადება დამტკიცებაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლის წესების პროექტის მომზადებაში;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების - ძაღლის და კატის ყოლის წესის პროექტის დაზუსტებაში;

კურიორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა, და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის“- პროექტზე შენიშვნების და რეკომენდაციების შემუშავებაში.

საკრებულოზე მისაღები ყველა სამართლებრივი აქტები განხილული იქნა ფრაქციის სხდომაზე და ჩემს მიერ მხარდაჭერილი.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს. მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას როგორც საკრებულოში ასევე ამორჩევლებთან.

საკრებულოს წევრი,სოფელ შრომის მაჟორიტარი დეპუტატი
ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს ტავმჯდომარე

დავით ჭაკნელიძე

26.02. 2019 წელი.